



პროგრამის სისტემის ინვესტიციების მართვა

რეზიუმე

ეკონომიკის საბაზო პირობებში ფუნქციონირებისათვის მეტად მნიშვნელოვნად მიღვაჩნია საინვესტიციო ფონდების, სალიზინგო და სადაზღვევო კომპანიების და სხვადასხვა სახის ბირჟების შექმნისა და განვითარების სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს საინვესტიციო რესურსების მოზიდვას და მრავალფეროვანს გახდის ინვესტიციების განხორციელების ფორმებს; გააუმჯობესებს ინვესტიციების განაწილებისა და საინვესტიციო ობიექტების შერჩევის პროცედურას; მათი განხორციელების მულტიპლიკატორული ეფექტის მიღწევას. ახალი საფინანსო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით აუცილებელია სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების და სადაზღვევო კომპანიების შექმნის სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის საკითხების გადაწყვეტის პროცესის დაჩქარება.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, ინვესტიციების მენეჯმენტი, ჯანდაცვის ობიექტები.

შესაბამისობა

ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობის პროცესში საქართველო ურთულესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. საუბარია სრულფასოვანი რეფორმის გატარებაზე. ეკონომიკური რეფორმების მიმდინარე ეტაპი სრულიად ახლებურ მოთხოვნებს აყენებს საფინანსო და საკრედიტო სფეროების მიმართ. კერძოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში საინვესტიციო პროცესების სრულფასოვან განვითარებას, რომელიც საბოლოო ჯამში მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. განსაზღვრა იმისა, რომ ინვესტიცია სახელმწიფო ეკონომიკური ზრდის თვალსაწიერიდან წარმოადგენს არა იმდენად დანახარჯებს, რამდენადაც სამომავლო კაპიტალდაბანდებას, დაგვეხმარება უფრო პკტიმალურად წარიმართოს საინვესტიციო პროცესი და მოძიებულ იქნას შესაბამისი ფინანსური რესურსები. ამასთან, სამომავლო გაფართოებული მოთხოვ-

**თამარ დევიძე –
სტუდენტი პროფესიი
E-mail: tamari.devidze@mail.ru,**

ნის სიდიდე პირდაპირ არის დამოკიდებული მიმდინარე დროში საინვესტიციო დანახარჯების ეფექტური მიმდინარე საბაზო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციების ძირითადი ეტაპების კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამ პროცესის სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები. მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მიმდინარე და საპროგნოზო ეტაპებზე მაკროეკონომიკური პარამეტრების დაგეგმვა დამყარებულია ფაქტორზე – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდაზე.

მოთხოვნის ზრდა ფართო მოხმარების საქონელზე წარმოშობს ჯაჭვურ რეაქციას, რაც უავშირდება მოთხოვნის გაზრდას ამ საქონლის მწარმებელ მანქანა-დანადგარებზე. ეს კანონზომიერება, რომელიც ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ კლარქმა აღმოაჩინა და რომელსაც „აქსელერაციის პრინციპი“ ეწოდა, წარმოადგენს ციკლური განვითარების უმთავრეს მამოძრავებელ ელემენტს.

მულტიპლიკატორის მასტიმულირებელი ეფექტი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: თუ იზრდება გადასახადები, მაშინ მულტიპლიკატორის სიდიდე კლებულობს, თუ იმპორტი დიდი მოცულობით ხორციელდება, მაშინ ახალი შემოსავლების გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთ გაედინება და იზრდება საგადამხდელო ბალანსის დაფიციტის აღბათობა.

საინვესტიციო აქსელერატორისა და მულტიპლიკატორის ეფექტი ერთობლიობაში იძლევა მულტიპლიკატორ-აქსელატორის ეფექტს, რომელიც დამტავრებულია პოლ სამუელსონისა და ჯონ ჰინჯის მიერ.

აქსელერატორ-მულტიპლიკატორის ეფექტი ასახავს ეკონომიკური სისტემის ციკლური რეგულაციების მექანიზმს. როგორც ცნობილია, ინვესტიციების ზრდა გარკვეული მოცულობით იწვევს ეროვნული შემოსავლის გაცილებით უფრო დიდი მოცულობით ზრდას მულტიპლიკატორის ეფექტის გავლენით. გაზრდილი შემოსავალი თავის მხრივ მომავალში (გარკვეული დაყოვნებით, ვინაიდან ინვესტიციების განხორციელების შემდეგ საჭიროა გარკვეული დრო, რათა ობიექტი ამოქმედდეს სრული სიმძლავრით) გამოიწვევს საინვესტიციო ნაკადების ზრდას აქსელერატორის ეფექტის მო-



საქართველოს ეკონომიკური პროგრამები

ქმედების შედეგად. ამგვარად წარმოებული ინვესტიციები წარმოადგენს ერთობლივი მოთხოვნის შედეგს, რომელიც თავის მხრივ კვლავ ხელს შეუწყობს შემოსავლების ზრდას და ინვესტორებს ახალი კაპიტალდაბანდებების უბიძებს.

რა თქმა უნდა ყოველივე ეს არ ნიშნავს დორექტული მმართველობის დამყარებას, თუმცა კონკურენციის უზრუნველყოფის მხრივ სახელმწიფოზე ბევრია დამოკიდებული. უნდა ითქვას, რომ უმეტეს განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფომ თვითონ ჩამოყალიბა საინვესტიციო სტრატეგია. გარდამავალი ეკონომიკის ქვემნების გამოცდილებიდან გამომდინარე, სახელმწიფო კრედიტებს უნდა პქონდეთ მიზნობრივი მხარდაჭერა, რისთვისაც მიზანშეწონილია სპეციალური საინვესტიციო ინსტიტუტების შექმნა.

საინვესტიციო საქმიანობის აღილობრივი ანუ ეროვნული რესურსები საინვესტიციო პროექტების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს. ამ რესურსების შეიძლება მივაკუთვნოთ საინვესტიციო აქტივობის დაფინანსების ორი მნიშვნელოვანი წყარო: შიდა და მოზიდული წყაროები.

საინვესტიციო პროექტების შიდა წყაროებში იგულისხმება მოგება და სამორტიზაციო ანარიცხები. დაფინანსების ორივე წყაროს მოცულობა მთლიანად რეგულირდება სახელმწიფოს მიერ საგადასახადო და სააღრიცხვო პოლიტიკის მეშვეობით.

საინვესტიციო პროცესების სტიმულირება საქართველოში, უნდა დაიწყოს აღილობრივ სამეწარმეო საქმიანობაში საამორტიზაციო ანარიცხების პოლიტიკის შეცვლით. ამორტიზაცია - ფულად ერთეულში გამოხატული ძირითადი ფონდების ცვეთა მათი სამეწარმეო გამოქენების შედეგად.

სახელმწიფოს მიერ დადგენილი საამორტიზაციო ნორმები განსაზღვრავენ მოქმედი ძირითადი ფონდების შეცვლის ინტენსივობას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ინფლაციის პირობებში საამორტიზაციო ანარიცხების ნორმები აზრს კარგავს, ვინაიდან ფულად ერთეულში გამოხატული ძირითადი ფონდების დირექტულება ინფლაციის პერიოდში ძლიერ უფასურდება. ამიტომ აუცილებელი ხდება ძირითადი ფონდების შეფასების კორექტირება იმ მიზნით რომ თავიდან ავიცილოთ რეალური ამორტიზაციის გაუფასურება ინფლაციის პირობებში.

საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების შემდეგი მნიშვნელოვანი წყაროა მოგება. მოგების ინვესტიციებად გარდასაქმნელად დიდი როლი სახელმწიფოს აკისრია. მხოლოდ სახელმწიფოს მიზანმიმართულ პოლიტიკას ძალუძს სტიმული მისცეს საინვესტიციო აქტივობას და მოგების გადანაწილებას საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაზე.

როგორც ცნობილია, უცხოელი ინვესტორი კაპიტალურ რესურსებს აბანდებს მხოლოდ სტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომლებიც თავის მხრივ ადგილობრივი ინვესტორის ნდობითაც ხასიათდებიან. აქედან გამომდინარე, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ როდესაც საუბარია საქართველოში უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი შემოსვლა ქვეყანაში მოხდება მხოლოდ ადგილობრივი კაპიტალის რეალურად ამოქმედების პირობებში. განვითარებადი სამყაროს ქვეყნებისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებას გარდამტებების შეტანა შეუძლია იმ უფსკრულის ამოსაგებად, რომელიც განვითარებად და განვითარებულ სამყაროს შორის არსებობს.

აქედან გამომდინარე, როდესაც საუბარია ორმაგ სარგებელზე, რომელსაც ინვესტიციების განხორციელებით დებულობს, როგორც ინვესტორი, ასევე ქვეყანა, სადაც ეს ინვესტიციები იქნა ჩაღებული, უნდა გვახსოვდეს, რომ სარგებელი, რომელსაც იღებს ინვესტორი გაცილებით დიდია, ვიდრე სარგებელი რომელსაც დებულობს განვითარებადი ქვეყანა.

განვითარებად ქვეყნებში, სადაც არსებობდა მკაცრი შეზღუდვები უცხოური კაპიტალის მონაწილეობაზე ქვენის ეკონომიკაში, საინვესტიციო პოლიტიკა სრულიად შეიცვალა ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის პროცესში უცხოური ინვესტიციების ჩართვის მიმართულებით, რასაც თან მოჰყვა ამ ტიპის ინვესტიციების რეგულირების რეჟიმების უპრეცედენტო დიმერალიზაცია.

თუმცა, საერთო ლიბერალიზაცია უცხოური ინვესტიციების რეგულირების საქმეში უპვეარისაგმარისია, განვითარებადი ქვეყნების საინვესტიციო სასტარტო პირობების იღებიტურობის გამო. ამიტომ სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესებში სულ უფრო მწვავედ დება ახალი მიღმებების შემუშავება უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, რომელიც კონკრეტულ ქვეყანას დააძლევება არსებულ კონკურენციას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბაზარზე.

უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებს შორის რაიმე პრინციპული სხვაობა არ არსებობს, რადგანაც საინვესტიციო ნაკადების დინების ძირითადი კანონები საერთოა ამ პროცესის უველა მონაწილისათვის, როგორც რეზიდენტებისთვის ასევე არარეზიდენტებისთვის.

უცხოური ინვესტიციები ძირითადად შეიძლება დაიყოს პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებად. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოსილი არიან გარეული სტაბილურობის ელფერით, ვინაიდან ისინი ხელს უწყობენ საინვესტიციო პროცესების აქტივობას, მართვისა და მარკეტინგული სრულყოფილი მეთოდების დან-



ერგვას, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის ზრდას, თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და სხვ., რისი თქმაც ნაკლებად შეიძლება პორტფლურ ინვესტიციებზე. მიუხედავად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარკვეული მიმზიდვებისა, მათი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძლება სხვადასხვაგარად შეფასდეს.

უკველივე აღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად დიდი მნიშვნელობა ენიჭება: პირველი, ეროვნულ ეკონომიკაში არსებულ დაგროვების დონესა და ეროვნული ინვესტორის აქტივობას; მეორე, უცხოური ინვესტიციების კონკურენტულ ბაზარზე ფრთხილი და ამასთანავე ნოვატორული მიღებობის გამოყენებას; მესამე, ისეთ ეკონომიკურ გარემოს, სადაც მესაკუთრეს (მისი მოქალაქეობის მიუხედავად) გააჩნია კაპიტალის დაცვისა და ზრდის გარანტიები. ხოლო რაც შეეხება უცხოური ინვესტიციების რეგულირებას მათი მოზიდვის შემდეგ, აუცილებელია ისეთი ზომიერი მიღების შემუშავება, რომელიც თანაბრად იქნება მისადები, როგორც უცხოელი ინვესტორის, ასევე ქვეყნის ინტერესებისათვის.

სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ერთერთ უმნიშვნელოვანების საკითხს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირება წარმოადგენს. ცნება „საინვესტიციო გარემო“ მოიცავს ყველა იმ ფაქტორს, რომლებიც მხედველობაში მიიღება ინვესტორების მიერ კაპიტალდაბანდებების განხორციელებამდე და რომლებიც საბოლოო ჯამში აისახება ისეთ კომპლექსურ მაჩვენებელში როგორიცაა საინვესტიციო რისკი.

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად მეტად მნიშვნელოვანია ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების რიცხვის გაზრდა. დიდი მნიშვნელობა აქვს ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებელ ხელშეკრულებებს, ვინაიდან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო ერთი მხრივ, უკავშირდება იმ ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობას, სადაც განხორციელდა ინვესტიცია, ხოლო მეორე მხრივ – იმ ქვეყნისას, რომლის რეზიდენტიცაა ინვესტორი. აღნიშნული გარემოება კი იწვევს ორმაგ დაბეგვრას იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა დადებული ქვეყნებს შორის შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო ორმაგი დაბეგვრა კი მეტად უარყოფით გავლენას ახდენს კაპიტალის მოძრაობაზე და შესაბამისად ინვესტიციების განხორციელებაზე.

კაპიტალის ინვესტირებასთან დაკავშირებული მმართველური გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების საკითხებს საწყის ეტაპზე განიხილავდნენ საინვესტიციო მენეჯმენტის სისტემის ერთ-ერთ განკერძოებულ მიმართულ-

ბად, რომელიც სპეციალიზებულ დარგად ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა. მენეჯმენტის სისტემაში მათ განიხილავდნენ საწარმოს განვითარებასთან დაკავშირებულ გრძელვადიან საფინანსო გადაწყვეტილებებად.

საინვესტიციო მენეჯმენტს, როგორც მმართველურ სისტემას ახასიათებს მართვის გარკვეული სუბიექტების არსებობაც. ჯანდაცვის მომსახურების განვითარებისა და ფორმირების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ფინანსური ურთიერთობები. მათი რეალიზაცია ხდება განსაზღვრულ ფინანსურ გარემოში, რომლის ძირითადი სტრუქტურული ელემენტებია სახელმწიფო ბიუჯეტი, ბანკები, სავალუტო ფონდი, საპენსიონ ფონდები, სადაზღვევო და სალიზინგო კომპანიები და ა.შ.

ჩამოთვლილთაგან სტრუქტურების ერთი ნაწილი აფინანსებს ჯანდაცვის ობიექტებს (მაგ., სახელმწიფო ბიუჯეტი, სავალუტო ფონდი), მეორე ნაწილი აკრედიტებს (მაგ., ბანკები, სალიზინგო კომპანიები), მესამე ნაწილიდან კი ჯანდაცვის ობიექტებს აქვს სამეურნეო ოპერაციებთან დაკავშირებული ფინანსური ურთიერთობები.

საბაზო ეკონომიკის პირობებში სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება ვერ იარსებდებს ნახესები (მოზიდული) სახესრების გარეშე. ნახესები სახესრები ფულადი სახესრებია, რომელიც არ ეკუთვნის სამკურნალო დაწესებულებებს, მაგრამ დროებით იმყოფება მის განკარგულებაში.

ლიზინგი სამეწარმე საქმიანობის დაფინანსების ერთ-ერთი ხერხია, ლიზინგი მოწოდებულია ამაღლოს სამეწარმეო საქმიანობის უფასტიანობა სამეწარმეო საქმიანობის ყველა დარგში, მათ შორის ჯანდაცვაში. ლიზინგის სუბიექტებია: ლიზინგის გამცემი, ლიზინგის მიმღები და ლიზინგის ობიექტის გამყიდველი. ლიზინგი წარმოადგებს სამეწარმე საქმიანობის სახეს, რომელიც მიმართულია ლიზინგის გამცემის დროებით თავისუფალი (ან მოზიდული) ფინანსური სახესრების ლიზინგის ობიექტში ინვესტირებაზე. ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი, ანუ მოიჯარე ვალდებულებას იღებს შეიძინოს საკუთრებაში გარკვეული გამყიდველისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიზინგის ობიექტი (ქონება) და შესთავაზოს (გარკვეული გადასახდელით) ეს ქონება (ლიზინგის მიმღების დროებით გამოსაჭირებლად, გამოსყიდვის უფლებით ან მის გარეშე).

საქმიანი სამყაროს მიერ სალიზინგო ოპერაციები განიხილება როგორც დაფინანსების ახალი და პერსპექტიული სახე. ეს ხდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამით ფინანსურ დახმარება გაეწვია ფირმებს რომლებიც საჭიროებენ მას,



ალბათ, კიდევ, მიმიტომ, რომ ასეთი დაფინანსება ეკონომიკურ სარგებელს აძლევს მათ, კერძოდ, უნარჩუნებს ლიკვიდურობას, უფართოებს ურთიერთობას, უმტკიცებს ანგარიშმწორების საფუძველს, დაზღვევის მეშვეობით უმცირებს ოსკს.

სპდ-ის საქმიანობის ფინანსური ანალიზი წ
მოადგენს მათი სტანდარტური და, ამასთან, მომცველი ანი მუშაობის გარანტიას. ფინანსური ანალიზი ფასდება სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ფინანსური სიმყარე და მიღება დონი იქნები გაპოტრიების თავიდან ასაცილებლად.

სამეცნიერო ორგანიზაციას შეუძლია გამოიყვას ფასიანი ქაღალდები, კერძოდ, ობლიგაციები და თამასუქები. ობლიგაცია - ესაა სახელმწიფოს ან იურიდიული პირის (მოცემულ შემთხვევაში სამეცნიერო-პროფილაქტიკური დაწესებულების) სავალო ვალდებულება. ობლიგაციის მყიდველი გამოდის, როგორც სამეცნიერო საწარმოს კრედიტორი. ობლიგაციებზე ხდება პროცენტის გადახდა. ობლიგაციის ემისია საჭიროებს ფულად ხარჯებს, მაგრამ მისი გაყიდვით უფრო ძარჩება. ესაა სპე-

გამოყენებული

1. ასათიანი რ. საქართველოს ფინანსური
კრიზისი და ტრანზიტული პროცესების მაკრო-
ეკონომიკური რეგულირება. საქართველოს
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები.
ტ. I, თბ., საგამომცემლო ფირმა სიახლე, 2000.
 2. ასლამაზაშვილი ნ. უცხოური ინგენიერიული
ბის სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში,
„საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები”,
ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი
საკითხების ქართულ-გროველი საკონსულტაციო

ის დამატებითი დაფინანსების საშუალება.

ჯანდაცვის დარგში ხელისუფლების პოლი-
ტიკა ძირეულად ეწინააღმდეგება საქართველოს
მოქალაქეთა ინტერესებს, ხელს უწყობს მო-
სახლეობის გადატაკებას, ლახავს ადამიანის უპ-
ირველეს – სიცოცხლის უფლებას. იმისთვის, რომ
ჯანდაცვის სისტემა ჩადგეს ხალხის და არა მდი-
დარი ელიტების სამსახურში, საჭიროა უარი ითქ-
ვას დარგში ლიბერტარიანული პოლიტიკის გა-
ტარებაზე. აუცილებელია გრძელვადიანი, დაბალ-
ანსებული, მეცნიერეულად დასაბუთებული, საზოგა-
დოებასთან შეთანხმებული დარგის მართვის
სტრატეგიის შექმნა. სამართლიანობა, მომხმარე-
ბელზე ორიენტაცია, მოსახლეობის ფინანსური
რისკებისგან დაცვა, რესურსების ეფექტიანად
გამოყენება, სამედიცინო სერვისების, მედიკა-
მებრების, ბიოლოგიური პროდუქტების და სამედ-
იცინო მოწყობილობების უსაფრთხოების, ეფექ-
ტიანობის და ხარისხის მართვა უნდა გახდეს
ჯანდაცვის ეროვნული სისტემის რეალური პრი-
ორიტეტი და შესაბამისად, კვლევა გარდაქმნა ამ
ხედვას და მიღებობებს უნდა დაეფუძნოს.

ଲୋକପାତ୍ରଙ୍କାଳିକା:

- ცენტრი, კვარტალური მიმოხილვა, დეკემბერი 2005.
3. ბაგრატიონი ლ., საინვესტიციო აქტივობის მახასიათებლები და მისი უზრუნველყოფის მექანიზმები. რუსულ ენაზე. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა”, №1, 2014.

4. გაბაიძე გ. გვარუციძე კ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა”, №4, 2014.

5. გერმავა ო. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი. თბ., 2012.

MANAGEMENT OF INVESTMENTS IN HEALTHCARE SYSTEM

TAMAR DEVIDZE
assistant professor of GTU
E-mail: tamari.devidze@mail.ru

Summary

It is important to create different kind of exchanges and state development investment programs, investment funds, leasing and insurance companies in field of economy trade. To my mind it will maintain to appeal investment resources, hence it will enrich investment realization forms, improve to spread investments and investment objects selective procedure. To help to chieve their multiplicated effects and finally to formate new financial infrastructure is necessary to create state investment funds and insurance companies judicial, organisative and technical questions decisive processes acceleration.

Keywords: investment, management of investments, healthcare objects